საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსელიანი ნანა მიხეილის ასული



ნ.იოსელიანი

იოსელიანი ნანა მიხეილის ასული (დ. 12. II. 1962, თბილისი), სპორტსმენი, მოჭადრაკე. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1989), საერთაშ. დიდოსტატი (1979), სპორტის ოსტატი (1976), საერთაშ. ოსტატი (1978).

დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1983). თბილისის ჩემპიონი (1975), სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის (1981, 1982, 1986, 1987), ევროპის ორგზის ჩემპიონი გოგონათა შორის (1978, 1979).

მონაწილეობდა ქალთა მსოფლიო პირველობის შემდეგ ციკლებში: 1978–81 – საზონათაშორისო ტურნირი, რიო-დე-ჟანეირო (1979, I ადგილი); პრეტენდენტთა მატჩები (8 მონაწილე): ჟ. ვერეცთან (6:3); ნ. გაფრინდაშვილთან (7:7); ნ. ალექსანდრიასთან (2,5: 6,5). პრეტენდენტთა მატჩები (1981– 84): ლიუ-შილანთან (6:3); ლ. სემიონოვასთან (4,5:5,5). 1986–88 საზონათაშორისო ტურნირი: ტუზლა (1987; I ადგილი); პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი, წყალტუბო (1988; I–II ადგილი). დამატებითი მატჩი ე. ახმილოვსკაიასთან (3:2). მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის, თელავი (1988): მ. ჩიბურდანიძესთან (7,5:8,5). 1989–91 პრეტენდენტთა ტურნირი, ბორჯომი (1990; III–IV ადგილი). 1991–93 საზონათშორისო ტურნირი: სუბოტიცა (1991; III–IV ადგილი). პრეტენდენტთა ტურნირი: შანჰაი (1992; II–III ადგილი); მატჩი პრეტენდენტის საგზურისათვის: მონტე-კარლო (1993),

ჟ. პოლგართან 4:4 (1:1, 1:1), კენჭისყრით გაიმარჯვა ი-მა. მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის: მონტე-კარლო (1993), სე ცზიუნთან (2,5:8,5). 1993–95 პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი: ტილბურგი (1994; VII–VIII ადგილი).

ი. 5-ჯერ გახდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებული: 1980 და 1982 – სსრ კავშირის, ხოლო 1992, 1994, 1996 – საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში; არის მეორე (2000) და მესამე (1998) პრიზიორი, ასევე ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (პულა, 1997).

დაჯილდოებულია ღირსებისა (1994) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით (2001).

დ. გურგენიძე